საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1043
17/02/2023

1043-21-2-202302171739

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N713 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჟახუნდერში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ფიშყორის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშში გადასამოწმებელია წარმოდგენილი წყლის საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობები, რადგან შესაბამის ფორმულაში მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მიიღება ხარჯის განსხვავებული სიდიდეები;
- ჰიდრავლიკური ანგარიშის ყველა სიდიდე წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებული რიცხვითი მნიშვნელობით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საკვლევი უბნის დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიში დასაბუთებული დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს დატბორვის დონეების განსაზღვრის შესაბამისი ჰიდრავლიკური ანგარიში;
- ქვანაყარი ბერმის ფრაქციული შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ნორმებს;
- დამცავი ნაგებობის ყველა კვეთში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვანაყარი ბერმის საპროექტო მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დანართის სახით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო